პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ოთხშაბათი
19
მაისი
№ 116
(16546)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მტკიცე დისციპლინა, მაღალი პასუხისმგებლობა—ყველა უბანზე!

არც ერთი ჩამორჩენილი —ჩვენს გვერდით!

ასეთია რუსთაველ მეფოლადეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში პენსიაზე გაეცილეს ვეტერანი მეფოლადე, ლენინის ორდენოსანი გრიგოლ ბერეკაშვილი, მისი ადგილი ღუმელთან ახალგაზრდა მეფოლადე ომარ წითლიძემ დაიკავა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში პენსიაზე გაეცილეს ვეტერანი მეფოლადე, ლენინის ორდენოსანი გრიგოლ ბერეკაშვილი, მისი ადგილი ღუმელთან ახალგაზრდა მეფოლადე ომარ წითლიძემ დაიკავა.

რუსთაველ პირველი ქართული ფოლადი 1950 წლის 27 აპრილს გამოადნეს. იმ დროს გრიგოლ ბერეკაშვილი ახალბედა მეტალურგი იყო, კადრის მუშა, ტაგანროგის საწარმოო პრაქტიკიდან ამხანად დაბრუნებული. სწორედ მაშინ დაიწყო დღევანდელი ვეტერანის ფოლადივით მტკიცე და დიდი ცხოვრება. აქედან მოყოლებული ვინ მოთვლის რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენი საინტერესო რამ მოხდა ქართველი მეტალურგების ცხოვრებაში.

ვრიგოლის ბიოგრაფია ქართული სამამულო მეტალურგიის ცოცხალი ანატანეა: ერთიდან რვამდე გაიზარდა მარტენის ღუმელის რაოდენობა, გადიდდა მათი წარმადობა, დავაყენეთ ერთ ... ...

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე — ცხოვრებაში

მარად ცოცხალი სუნდუკიანი

(დასასრული)

საქართველოს მშრომელთა ერთიან მწყობრში მტკიცედ მოაბიჯებენ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სამრეწველო-საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივები. მათ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის განვლილი პერიოდი მნიშვნელოვანი წარმატებებით დიდწყეს. ჩვენმა მრეწველობამ 105.5 პროცენტით შეასრულა მილიარდი პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა. გადამეტებით წარმოებულია 6 მილიონზე მეტი მანეთის სამრეწველო და ფართო მოხმარების პროდუქცია, რაც ნაკისრი წლიური ვალდებულების 80 პროცენტს შეადგენს. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ რაიონი დიდი გადამეტებით გაანადღებს სოციალისტურ ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დამატებით 7,5 მილიონი მანეთის პროდუქციის წამოების დიდჭალაძის მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო 40 მილიონის ანგარიშში.

ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარებაში, როგორც ცნობილია, უდიდესი როლი ენიჭება სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების მძლავრი დამჩქარებელია, სრულყოფს სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, მათი შეგნებულობის, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებაში. ამიტომ პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას, საჯაროობას და შედეგების შესადარებლობას.

ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაციის გულისყური, ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა იმეორად მიმართული სწორედ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის სრულყოფისაკენ, პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებულ სოციალურ და ეკონომიურ ამოცანათა გადაწყვეტისაკენ. მათი დეკიზია: „ავამღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის!“.

ახლა ჩვენი სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ამისათვის იღებენ. რომ წარმოებაში ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით შრომის ნაყოფიერების დაგეგმილი მაჩვენებელი კიდევ 5 პროცენტით გაზარდონ და 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ.

თავიანთი საპატიო საბრძოლო ამოცანა განსაზღვრეს სატრანსპორტო ორგანიზაციებმაც. გეგმის გადამეტებით ისინი 40 ათას ტონაზე მეტ სახალხო-სამეურნეო ტვირთს გადაზიდავენ. შემუშავებულია და პრაქტიკულად ხორციელდება ნედლეულის, მასალებისა და სათბობის მომჭირნედ ხარჯვის ღონისძიებანი.

ხშირად გაწეული მუშაობის ანალიზი თვითონვე გვკარნახობს მომავალი საქმიანობის კონკრეტულ გზებს. შეათე ხუთწლედში 26 კომისრის სახელობის რაიონში არ არის გათვალისწინებული ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა. ამიტომ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მამამთავრესა. ამ ღონისძიებათა განხორციელებით განხორციელდა გვაქვს მიმდინარე ხუთწლედში მიეღწიოთ სამრეწველო წარმოების 100 მილიონი მანეთით გაზრდას და 10 მილიონი მანეთის ზეგეგმიური მოგების მიღებას.

ხუთწლედის პირველი წლის მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მოპოვების ობიექტურ პირობებში ინ-ბრძოლი ენერგიულ სოციალისტურ ინიციატივებს. ამ ინიციატივებს ინ-ბრძოლ ენერგიულ ინ-ბრძოლ ინ-ბრძოლ ინ-ბრძოლ

მსოფლიოსათვის

სოციალიზმისა და მოვიდოგის კურსით

მუშაობა დაიწყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობამ

ბერლინი, 18 მაისი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, რსკ-ში, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი.

ყრილობა გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ მ. შტოუფმა. იგი გულითადად მიესალმა ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს.

დამსწრენი მქუხარე ტაშით, ფეხზე ამდგარი მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას. დარბაზში გაისმოდა შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთაის სადიდებლად.

ყრილობას ესწრებიან მსოფლიოს 92 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტური პარტიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა დელეგაციები.

ყრილობა განიხილავს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშს, 1976-1980 წლებში გერმანიის დემოკრატიული რესაშუალიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის დირექტივების პროექტს. დელეგატები მიიღებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ახალ პროგრამასა და ახალ წესდებას, აირჩევენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის IX ყრილობისადმი გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ჰონეკერმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII და IX ყრილობებს შორის პერიოდი — ეს არის განვითარებული სოციალისტური ხაზოგადოების მშენებლობაში არსებითი პროგრესის, სოციალისტური საზოგადოების, თვითეული ცალკეული მოქალაქის საკეთილდღეოდ ჩვენი ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის მთავარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის წლები. ამ წლების მანძილზე ჩვენმა მუშათა და ელეხთა აყვავებულმა სოციალისტურმა სახელმწიფომ სრულ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი უფლვვი ძმური კავშირი საბჭოთაფან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, თქვა ე. ჰონეკერმა.

ჩვენს ყრილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ იგი მიიღებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ახალ პროგრამას. პარტიის ახალი პროგრამა აუცილებელი გახდა, რადგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დგება მისი საზოგადოებრივი განვითარების ახალი ეტაპი. პროგრამამ უნდა ასახოს ის დიდი ცვლილებანი, რომლებიც მოხდა როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციებში. პროგრამა მოიცავს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ფუძემდებელ მიზნებს. „ეი ჩვენი პარტიის ბრძოლას მკაფიო ორიენტირის აძლევს კომუნიზმის გზაზე და განსაზღვრავს ჩვენს საქმიანობას რამდენიმე ხუთწლეულისათვის.

ჩვენ კარგად ვართ მომზადებული ახალი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც განიხილავს და მიიღებს პარტიის IX ყრილობა. ამ რეშენია საფუძველად უდევს მარქსისტულ ლენინური მსოფლმხედველობის დიდი სისწორე, ჩვენი პარტიის გაწრდილი საბრძოლო ძალა და მისი მჭიდრო ურთიერთობა ხალხთან. მას საფუძვლად უდევს ის, რომ ჩვენ მხარდამხარ მივყვებით სოციალისტური საშყაროს მთავარ ძალას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს და სხვა მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ახალი იმპულსი მოგვცა, რაც ღონა ზეშეკვედრას ახდენს კომუნიზმის საქმეზე, მთელი მსოფლიოს რევოლუციურ მოძრაობაზე. ამ ყრილობის მასალებს ვიყენებთ ჩვენს წინაშე დასასახელ ამოცანების გადასაწყვეტად. ეს მასალები ჩვენთვის უტყუარი და საიმედო კომპასია ჩვენი ხალხის კომუნისტური მომავლის გზაზე.

შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მზარდ ძმურ უერთიერთობას, ე. ჰონეკერმა თქვა: დიდ სიხარულს განვიცდით იმ ფაქტის გამო, რომ საბჭოთა კავშირთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა სულ უფრო მჭიდროო და ეფექტიანი ხდება და უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება.

ყრილობის ტრიბუნიდან გვინდა გულითადი მადლობა მოვახსენოთ ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, სკკ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კომუნისტებს და მთელ საბჭოთა ხალხს იმ ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მხარდაჭერისათვის, რომელსაც მუდამ უწევდნენ ჩვენს პარტიასა და ჩვენს ქვეყანას, თანამშრომლობის, მეგობრობის, ნდობის მრავალფეროვანი გამოვლინებისათვის.

შემდეგ ე. ჰონეკერმა ჩამოაყალიბა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემდეგი უპირველესი მიზნები და ამოცანები.

— ძმური კავშირის შუამიგი განმტკიცება სსრ კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებთან;

— ანტიიმპერიალისტური სოლიდარობა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან;

— თანამიმდევრული ბრძოლა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

მომხსენებელმა შეაჯამა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII და IX ყრილობებს შორის პერიოდში რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა დარგში მოპოვებული მიღწევები და აღნიშნა, რომ განვლილი ხუთი წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში დიდი ცვლილებანი მოხდა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული დიდი მიღწევები იყო ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უმნიშვნელოვანესი წინამძღვარი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში დადასტურებულია, რომ ყველა დარგში პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი განმტკიცება ობიექტური აუცილებლობაა, თქვა მომხსენებელმა. ჩვენ ეს მიგვაჩნია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის შემდგომი მუშაობის დიდმნიშვნელოვან წინამძღვრად.

ჩვენი პარტია დიადი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რაზმია, თქვა ე. ჰონეკერმა. საქმიანობაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ინტერნაციონალისტური პასუხისმგებლობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ ლენინური პარტიების მხარდამხარ ჩვენ ვცდილობთ განვამტკიცოთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, თანამიმდევრულად ვახორციელოთ 1969 წლის საერთაშორისო თათბირის იდეები და კოლეგიტურად შეთანხმებული გადაწყვეტილებანი.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ პეკინის დიდმპყრობელური მოვინისტური და ანტისაბჭოური კურსი დიდ ზიანს აყენებს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს. ამტომაა, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი თანაარსებობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის წარმატება მოითხოვს მაოიზმის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ თანამიმდევრულ ბრძოლას.

ამხ. ე. ჰონეკერის მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

18 მაისი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკლესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

კლასობრივი პოზიციების დასაცავად

ა. კუნიალის გამოსვლა სოლიდარობის მიტინგზე ლისაბონში

ლისაბონი. (საკდესი). პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა, რომელიც ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლის სოლიდარობის მიტინგზე გამოვიდა ლისაბონში, განაცხადა, რომ პორტუგალიის კომუნისტური პარტია გადაჭრით აცხადებს, რომ არ დათმობს თავის პრინციპულ კლასობრივ პოზიციებს მუშარცხენე ძალების ერთიანობისათვის ბრძოლაში. მან მკაცრად გააკრიტიკა ისანი, ვინც ამტკიცებს, თითქოს პორტუგალიაში კომუნისტებთან კავშირის გზაზე მთავარი დაბრკოლება იყოს მათი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, მომე კომუნისტურ პარტიებთან. ოპერაციონიზმი, თქვა ა. კუნიალმა, ცდილობს აუმხედროს შრომელები საბჭოთა კავშირს — სოციალიზმის ბურჯს, გათიშოს პროგრესული ძალების რიგები. პორტუგალიელი კომუნისტები, აღნიშნა მან, არ აპყვეს ... გალითის ... ბრეჟნევის ან თუნდაც შესაძლო მოკავშირეების შანტაჟს და განაგრძობენ სოლიდარობას საბჭოთა კავშირთან, კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებთან.

პორტუგალიაში არ მეგულება კომუნისტი, განაცხადა ა. კუნიალმა, რომელიც თანახმა იქნება მონაწილეობა მიიღოს ანტისაბჭოურ პროვოკაციებში ამისათვის, რომ მეამრკვენე ბურჟუაზიულ მოღალატეთა ჭეშმარიტ დაამასაბუროს.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი შეეხო ჩვეულებრივ პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადებას და თქვა, რომ კომუნისტებს ამზადებენ პრეზიდენტობის კონკურენტი ... პრეზიდენტობის ... ...

საზეო მომავალი

ყოველწლიურად 19 მაისს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში პიონერები აღნიშნავენ თავიანთ დიდ დღესასწაულს — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს.

ყველასათვის ცნობილია ის დიდი ზრუნვა და ყურადღება, რასაც მომავალი თაობის მიმართ იჩენენ მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი.

ამის საპასუხოდ ყოველ 19 მაისს წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები — ნორჩი ლენინელები სამშობლოს უპატაკებენ იქ სახახელო საქმეებს, რითაც შეეგებენენ თავიანთ დღესასწაულს. ასეთი სასახელო საქმე კი ბევრია.

პატარა ხელების მადლია, ბევრ ელმავალს თუ ტრაქტორს რომ ამშვენებს წარწერა „პიონერი“. პიონერები აგროვებენ ჯართს, მაკულატურას, უვლიან ხაკოლმეურნეოთ მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს, აწყობენ შაბათობებს.

გუშინ, თბილისში, გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ძოეწყო „ნორჩ წითელკავალმაძიებელთა“ და „ცისკრელთა“ ტრადიციული საკალაქო შეკრება. პიონერებმა გირლანდით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

დღეს, 19 მაისს კი ლენინის მოედანზე შედგება დიდი პიონერული ზეიმი — მარჯვენაფლანგელთა რაზმებისა და რაზმეულების საკალაქო შეკრება. სტუმრად მოვლენ ძველი ბოლშევიკები, სკკპ XXV ყრილობის დელეგატები, კომუნისტური შრომის გმირები, კომკავშირელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, სამამულო ომის ვეტერანები.

შეკრების შემდეგ გაიმართება პიონერთა საკალაქო აღლუმი მარშუტებით—„სხრკ ჩეკი სამშობლოსა“, „ცოდნის სამყაროში“, „პიონერიშვილი“, „ვარსკვლავი“ და სხვ.

ბ. დურგლიშვილი.

სურათზე: „ნორჩ წითელკავალმაძიებელთან“ და „ცისკრელთა“ საკალაქო შეკრების მონაწილენი გამარჯვების პარკში ყვავილწყნელთან ამკობენ უცნობი ჯარისკაცის საფლავს.

ს. კილაძის ფოტო.

ოპერის მსახიობები მწყემსებთან

ახმეტა. (სამ. კორ.). თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი სოფელ ქვემო ალვანის მშრომელებს ეწვია. მსახიობებმა იქ დიდი კონცერტი გამართეს. მეორე დღეს სტუმრები შირაქს გადაეშავრნენ.

გაზაფხულის ამ პერიოდში ალვანელ მეცხვარეთა დიდი ნაწილი ჯარისწყლის მიდამოებში იმყოფება. სწორედ აქ მოსდა ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა და მწყემსთა შეხვედრა. გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბრები, შემდეგ კი სტუმრებმა თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს მსმენელები.

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. შუშანია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ზაალიშვილი, პ. თომაძე, სოლისტები ლ. ნადიბაიძე, მ. დონაძე, ნ. მკერვალიძე და სხვ.

მსახიობთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორის მოადგილე რ. მაჩაიძე.

ა. თვალიაშვილი.

ისტორიულ თარიღს მიეძღვნა

ახლახან შესრულდა 100 წელი იმ დღიდან, რაც ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცებმა სახალხო მოძრაობის დროშა ააფრიალეს თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ და დასაბამი მისცეს თავისუფალი ბულგარეთის ისტორიას.

ახლახან ბულგარეთის ისტორიკოსთა სამეცნიერო ორგანოს— „ისტორიჩესკი პრეგ�ლედის“ 1976 წლის 1 ნომერში ბულგარულ ენაზე გამქვეყნდა ქართველი მეცნიერების — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შ. მეგრელიძის და დოცენტ შ. ბადრიძის სტატია „ბალკანეთის ამბები 1876 წელს და ქართული საზოგადოება“.

გ. დევდარიანი.

ჭაღრაკის ამბები

საქართველოს პირველობაზე

მეათე ტურის წინ ჩემპიონატს მხოლოდ ეთი დაუმაცხებელი მონაწილე ჰყავდა — შეჯიბრების ლიდერი, ოსტატი უბილავა. ისე ჩანდა, რომ მას მეათე ტურში წააგო, მაგრამ ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

უბილავამ შავებით მაია ჩიბურდანიძესთან ალიოხინის დაცვას მიმართა. ნორჩი მოჭადრაკე ამ დებიუტში კარგად მომზადებული აღმოჩნდა. მან თავის ძალებს თავი მოუყარა ცენტრში და დაიწყო ძლიერი იერიში. 30-ე სვლაზე უბილავა დანებდა. ბოძოლა პირველი ადგილისათვის საგრძნობლად გამწვავდა.

ახლა ლიდერს შეიძლებოდა დასწეოდნენ კაპანაძე და ჩიქოვანი. ჩიქოვანსა ძაღვებით თითქოს ყველა სადებიუტო პრობლემა გადაჭრა, მაგრამ შემდეგ შეცდა. კაპანაძემ ძოიგო პაიკი და უკეთესი ენდშპილი ძიღო, თუმცა გადადებულ პოზიციაში შავები მაინც იხარჩუნებენ ყაიმის შესაძლებლობებს.

ჭიპაშვილმა მოუგო სიხარულიძეს, ხაიხიკმა — ცქიტიშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი უბილავა. 6,5 ქულა და ერთმანეთთან გადადებული პარტია აქვთ ოსტატ ჩიქოვანსა და ოსტატობის კანდიდატ კაპანაძეს. დანარჩენი მონაწილეების მდგომარეობას გადადებული პარტიების დამთავრება გამოარკვევს.

კლოვდივის საერთაშორისო

კლოვდივში (ბულგარეთი) დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეთა შორის არიან ბულგარეთის ეოთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ბორისოვა, იუგოსლავიის ეკს-ჩეკპიონი პიპალიჩი, გდრ-ის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ნიუნპერტი და სხვა ცნობილი ოსტატები. საბჭოთა კავშირიდან ბრძოლაში ჩაება თბილისელი ოსტატი ხუგაშვილი.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი გოგოლია (რუანეთი), ორ-ორი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ოსტატებს ხუგაშვილსა და კასპერჩიკს (პოლონეთი). ხუგაშვილმა ძეორე ტურში მოუგო დრაგანოვას, მესამეში — ჩაპკასოვას (ორივე — ბულგარეთი), პირველი ტურის პარტია ბორისოვასთან კი გადადო.

გ. გამრეკელი.

ფეხბურთი

ტურის შესავალი

ასე შეიძლება ეწოდოს „მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ დღევანდელ მატს, რომლითაც იწყება „ა“ ჯგუფის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მერვე ტური.

მეტოქეებს დღეისათვის სატურნირო ცხრილში სავსებით გასხვავებული მდგომარეობა აქვთ: „დინამო“ მეორე ადგილზეა, ხოლო „ლოკომოტივი“ — უკანასკნელზე.

ამ გუნდების მატჩის მეორე ნახევრის რეპორტაჟი მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონიდან საქართველოს რადიოთი დაიწყება 21 საათიდან თბილისის დროით.

ცხენოსნობა

სამატჩო შეხვედრა

ერევანში გაიმართა სომხეთისა და საქართველოს მხედრების სამატჩო შეხვედრა, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო ცხენოსნობის კლასიკური სახეობები.

„ამორჩევით“ დაბრკოლებათა გადალახვაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. მახარაძე. მეორე ადგილზე იყო მისი თანამგუზდელი, საქართველოს ბასოლუტური ჩემპიონი, სპორტის ოსტატი მ. ტატიშვილი. მანვე კონკურსში — „სიმძლავრის ხტომები“ მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო „გახსნის პრიზზე“ მეოთხე შედეგი აჩვენა.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება დაბოკოლებათა გადალახვაში „ამერიკაკასიის თასზე“. აქ ზუგდიდელმა სპორტის ოსტატმა ზ. ყურწუბიამ მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო ა. მახარაძე მეხუთე იყო.

ორი შომმე რესპუბლიკის მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით.

ნ. ხიჩინავა.

ჭიდაობა

იუნიორთა საკავშირო

ბაკურში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა იუნიორთა შორის, რომელშიც 276 ფალავანი გამოდიოდა.

დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა თბილისელმა დინამოელმა იოსებ ჯუღელმა, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მეორე ადგილზე გამოვიდა ვალერი ტოგონიძე (100 კგ.), მესამეზე — მალხაზ ლეკვაკა (82 კგ.) და რაიდი აბრამიშვილი (62 კგ.).

საინტერესოა, რომ 8 ქართველი მოჭიდავე შეყვანილია იუნიორთა ნაკავშირო ნაკრებში. გუნდური პირველობა მოიგო „დინამომ“.

სტიქია დამარცხდა

ფლეულს საქართველოში დიდი ზამთარი იყო. ახლა გაზაფხულია. დიდი სიხარულით შეეგებდით მას. 19 აპრილს სალამოს სოფელში აურხაური ატყდა. მთიდან უზარმაზარი კლდე-ლოდი დაგორდა და სოფლის ზევით დამრეც ადგილთან შეჩერდა. კლდე-ლოდი სოფელს კარგა არას უქადდა. იგი პირველებმა შენიშნეს VI კლასის მოსწავლეებმა თ. და ე. ქიქელიძეებმა, რომლებმაც საფრთხე ბრიგადირ დურსუნ ქიქელიძეს აცნობეს. სასოფლო საბჭოს თავჯდომარემ შ. ქარცივაძემ ეს ამბავი იმ ღამესვე რაიონის ხელმძღვანელობას შეატყობინა. დაუყოვნებლივ დაცალეს სახლები. დაიწყო ბრძოლა სტიქიის დასამარცხებლად, რომელიც 22 აპრილამდე გაგრძელდა. სოფელი მთლიანად დაიცალა. ყველა ელოდა აფეთქებას. საღამოს 7 საათი იყო, როდესაც გაისმა აფეთქების ხმა. გახეხულება სოფელში დაბრუნდნენ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. იმ ღამეს სოფელს მშვიდად ეძინა.

ჩვენი სოფლის მშრომელები უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც მოსალოდნელი უბედურების დროს დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

ა. ფუტკარაძე,
შუახევის რაიონის კარაპეტის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი.

მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაცია

ტაშკენტი, 18 მაისი. (ხაკდისი). ყიზილყუმის მიწისძვრის ეპიცენტრში კიდევ მოხდა მიწისქვეშა ბიძგები. დღეს აღრიცხული ყველაზე ძლიერი ბიძგი, ცენტრალური სეისმური სადგურის „ტაშკენტის“ მონაცემებით, სამ-ოთხ बალს აღწევდა.

დასახლებულ პუნქტებში, სადაც მიწისძვრა მოხდა, ახორციელებენ მისი შედეგების ლიკვიდაციისა და მოსახლეობისათვის დახმარების ღონისძიებებს. ბუხარაში მიწისძვრამ ზიანი მიაყენა საცხოვრებელ ფონდს, განსაკუთრებით ძველი ტიპის ნაგებობებს, აგრეთვე ბევრ სხვა შენობას. ქალაქ დაზში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა სტიქიური უბედურების შედეგად, მეზობელი ოლქებიდან ჩადიან სამშენებლო რაზმები. აქ მოაქვთ საშენი მასალები, სასმელი, მედიკამენტები. აღდგენილია კავშირი ღაზლსა და ბუხარას შორის.

გუშინ თითქმის ყველგან მშრალი ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში 13 საათზე ყველაზე მეტი სიცხე — 23 გრადუსი საჩხერეში იყო. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 17-22, მთებში 19-21 გრადუსი სითბო აღინიშნა. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 17-21, მთებში 16-20 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 21 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მცირე წვიმაა მოსალოდნელი. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 15-20 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 20-24, მთებში 11-16 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, ტემპერატურა 22-24 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

აცხადებს 1976-77 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალობით — „სწავლული აგრონომი“ (ქართული და რუსული სექტორები), „სწავლული აგრონომ-დეკორატორი“ (ქართული სექტორი), სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სწავლული „აგრონომ-მელიორატორი“ (ქართული სექტორი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის სპეციალობით — „ინჟინერ ტექნოლოგი“ (ქართული და რუსული სექტორები).

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობით — სოფლის მეურნეობის „ინჟინერ-მექანიკოსი“ (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ა) **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე** — ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

ბ) **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე** — ფიზიკა (წერა), მათემატიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი).

გ) **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე** — მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ წერითს გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში თხზულების სახით.

რუსულ სექტორზე შემსვლელნი არარუსულოვანდამთავრებულნი რუსულ ენასა და ლიტერატურაში თხზულების ნაცვლად წერითს გამოცდას აბარებენ კარნახით.

ასევე ქართულ სექტორზე შემსვლელნი, არაქართულოვანდამთავრებულნი ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითს გამოცდას აბარებენ კარნახით.

ინსტიტუტში შემსვლელნი, რომელთაც საშუალო სკოლა ოქროსფერ (ვერცხლის) მედლით ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინებით დამთავრეს, მხოლოდ ერთ გამოცდას აბარებენ: სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ბიოლოგია (ზეპირი), ტექნოლოგიურზე — ქიმია (ზეპირი), ხოლო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე —მათემატიკა (წერა). აღნიშნული საგნის „ფრიადზე“ ჩაბარების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან შემდგომი გამოცდებისაგან, ხოლო შეფასების „კარგის“ ან „დამაკმაყოფილებელის“ მიღების შემთხვევაში აგრძელებენ მისაღებ გამოცდებს საერთო წესით.

მისაღები გამოცდები ტარდება სსრკ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით, რომლებიც შედგენილია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის საფუძველზე.

ინსტიტუტში ჩარიცხვა 1976-77 სასწავლო წლის მიღების წესების შესაბამისად ხდება.

ინსტიტუტში შემსვლელმა განცხადება უნდა დაწეროს ინსტიტუტის რექტორის სახელზე, დამტკიცებული ფორმის მიხედვით, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს: 1) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 3) ოთხი ფოტოსურათი (ზომა — 3X4 სმ.), გადაღებული უქუდოდ, დამოწმებული, 4) ავტობიოგრაფია, 5) დახასიათება უკანასკნელი საშუაო ადგილიდან, გაცემული პარტიული, კომკავშირული, პიონერიული ორგანიზაციის, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. მიმდინარე სასწავლო წელს საშუალო სკოლადამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის დირექციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას.

ინსტიტუტში შემსვლელნი, რომელთაც ორი წლის ან მეტი ხნის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვთ ან მოვლენებულნი არიან სასწავლებლად წარმოებისაგან მოწყვეტილნი მათი საშუშაოს ხასიათის შესაბამისი პროფილის მიხედვით, წარმოადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, წარმოების ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებულს.

კოლმეურნეობის წევრთათვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი განისაზღვრება კოლმეურნეობის შრომის წიგნაკიდან ამონაწერის საფუძველზე კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დადგენილი შრომადღეების მინიმუმის ყოველ კალენდარულ წელს შესრულების გათვალისწინებით.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდგომ წლებში ინსტიტუტში შემსვლელნი ვალდებულნი არიან ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ყოველ მომდევნო წელს არანაკლებ 6 თვისა.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 30 ივლისამდე. გარდა კვირა დღისა, 10 საათიდან 16 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი: ქ. სოხუმი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ტელეფონები: 3-37-07; 3-31-24, **მგზავრობა:** ტროლეიბუსები №№ 2, 3, ავტობუსები: №№ 4 13, 14, 16, 18, 20, 21, 24, 26, 28.

კონკურსი

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საუკეთესო სავაჭრო მომსახურების მაღაზიების გამოსავლინებლად

მოსახლეობის სავაჭრო ნომსახურების გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო სავაჭრო მომსახურების მაღაზიების გამოსავლინებლად.

კონკურსი ტარდება 1976 წლის პირველი აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სავაჭრო სისტემის მაღაზიას დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

კონკურსში გამარჯვებული კოლექტივებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ორი პირველი პრემია — 450 მანეთი,
სამი მეორე პრემია — 200 მანეთი,
ხუთი მესამე პრემია — 100 მანეთი.

საბავშვო სამხატვრო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-1977 სასწავლო წლისათვის

ხაბავშვო სამხატვრო სკოლაში მიიღებიან სახვითი ხელოვნებისადმი მიდრეკილების მქონე, ფიზიკურად ჯანმრთელი მოსწავლეები 7-დან 12 წლამდე. სწავლება უფასოა და ვადა განისაზღვრება 10 წლით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან მოუწყვეტლივ.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასებში,

1-ელ, მე-2, მე-3 კლასების მოსწავლეები გამოცდას ჩაბარებენ კომპოზიციაში, ხოლო მე-4, მე-5, მე-6 კლასელები შემდეგ დისციპლინებში: ხატვაში, ფერწერაში, კომპოზიციასა და ძერწვაში. მოსწავლეთა ჩარიცხვა მოხდება შესაბამის კლასებში.

მსურველებს განცხადებები შეუძლიათ წარმოადგინონ 1976 წლის 1 ივნისამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1976 წლის 5 ივნისიდან. კონსულტაციები იწარმოებს 1 ივნისიდან 5 ივნისამდე.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე; 2. დაბადების მოწმობა (ასლი); 3. დახასიათება და ცნობა სკოლიდან; 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, 7. ორი ფოტო სურათი, ზომა — 3X4 სმ.

განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველდღე, გარდა კვირისა დილის 10 საათიდან 13 საათამდე და 14 საათიდან 17 საათამდე.

სკოლის მისამართი: კიროვის სახ. რაიონი, ათონელის ქუჩა № 5 (104-ე საშ. სკოლის შენობაში) ტელ. 99-68-11.

სკოლის დირექცია



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კართოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის

ტოპოგრაფიული ტექნიკუმი.

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-1977 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი ქართული და რუსული

პირველ კურსზე (რუსული სექტორი) მიიღებიან არასრულიანი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

მიღება წარმოებს „ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ“ სპეციალობებზე.

მეორე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ქართულ სექტორზე მიღება წარმოებს „ტოპოგრაფიულ და საინჟინრო გეოდეზიის სპეციალობებზე“. რუსულ სექტორზე—„გეოდეზიისა და კარტოგრაფიის“ სპეციალობებზე.

ტექნიკუმი ამზადებს: ტექნიკოს ტოპოგრაფებს, კარტოგრაფებს, გეოდეზისტებს და საინჟინრო გეოდეზიის ტექნიკოსებს სპეციალიზირებულ საინჟინრო კვლევითი ორგანიზაციებისათვის.

სწავლის ვადაა 3 წელი და 9 თვე — 8 კლასდამთავრებულთათვის.

ათკლასდამთავრებულთათვის **2 წელი და 9 თვე.**

მოსწავლეები შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

განცხადებების მიღება I კურსზე შემსვლელთათვის იწარმოებს 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე, მეორე კურსზე შემსვლელთათვის — 1 ივნისიდან 14 აგვისტომდე.

განცხადებებს თან ერთვის შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა 286, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დახასიათება-რეკომენდაცია, ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი დამოწმებული 6 ცალი ზომა — 3-4-ზე და 4 ცალი — 6X9-ზე,

შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერილობის მოწმობა, დაბადების მოწმობა.

პირველ კურსზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში (ზეპირი), რუსულ ენაში (წერა კარნახით)

მეორე კურსზე — მათემატიკაში (ზეპირი), ლიტერატურაში (წერა, თხზულება).

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი, 25 ტელეფონი: 22-30-33.

კომეუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-92-03, 99-03-09, პ/მგ მდივანს — 99-72-80, სპეციალისტ — 99-66-10 განუფიცილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02299 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტ. ომბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — VI კლასელთათვის — ფიზიკა, 17.05 — მოსწავლეთათვის „ალისფერყელსახვევიანთა ზეიმი“ — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 17.50 — განცხადებები, 17.55 — ქ. მოსკოვის პიონერთა საზეიმო შეკრება მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღისადმი — ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 19.55 — დოკუმენტური ფილმი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა“ — ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პიონერხელმძღვანელთა I საკავშირო შეკრებისადმი მიძღვნილი საღამო. საკონცერტო სტუდია „ოსტანკინოში“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — VIII კლასელთათვის — ფიზიკა, 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 19.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 19.50 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 20.20 — „მუსიკალური ფოტო“ — ფერადი გამოსახულებით, 21.20 — მხატვრული ფილმი „ოქროს ბუდის საიდუმლოება“.

20 მაისი

პირველი პროგრამით

06.35 — მღერის ვ. მირიანაშვილი, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — გ. დონიცეტი — ნაწყვეტები ოპერიდან „სიყვარულის ნექტარი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „კომუნისტები ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში“, 12.15 — ნ. მიასკოვსკი — სიმფონიები და რომანსები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — მღერის ე. ჰილი, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ნ. გაბუნია — პოემა-ელეგია, 13.15 — ამინდის ბიულეტენი ცნობა, 13.30 გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — რუსული რომანსები, 14.00 — საფორტეპიანო პიესები, 17.15 — „საეკავოები ქართული ოპერებიდან, 17.35 — მოსწავლეთათვის — „მეცნიერთა ლაბორატორიებში“, 18.05 — მღერის — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, 18.45 — უცრაინული სიმღერები, 19.20 — რ. ჭარუხნიშვილი — საეკავო ინპრეზიაციები და ტოკადა — ფანტაზია, 20.20 — ბ. ბიეშუსა და ვ. ნორეიკას კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „კრიტიკა და თანამედროვე ქართული პროზა“, 21.50 — შ. მშვილიძე სიმფონიური პოემა „მინდია“ და სიმფონიური სურათი „მზის ამოსვლა“, 23.30 — ბულგარული მუსიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

19 მაისი

ოთარ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნათან ბრძენი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რას იტყვის ხალხი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სხვისი შვილების მამა.

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ